

ბირთვული განიარაღება და გადაწყვეტილების მიღების

პროცესი უკრაინაში: 90-იანი წლები

თორნიკე გაბაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ პატარაია, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

სარჩევი

სარჩევი	2
აბსტრაქტი	3
Abstract	5
შესავალი	6
გადაწყვეტილების მიღების პროცესი	9
რუსეთის ფაქტორი	21
ამერიკის და ევროკავშირის ფაქტორი	27
შიდა პოლიტიკური მდგომარეობა	37
ბუდაპეშტის მემორანდუმი და უსაფრთხოების გარანტიები უკრაინაში	41
დასკვნა	45
გამოყენებული ლიტერატურა	50

აბსტრაქტი

25 წლის წინ უკრაინა იყო მესამე უმსხვილესი ქვეყანა მსოფლიოს მასშტაბით ბირთვული არსენალის რაოდენობის მიხედვით, რომელიც მას მემკვიდრეობით გადაეცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკებები ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის ფედერაციის და უკრაინის მაღალ პოლიტიკურ ემელონებს შორის, რომლის საფუძველიც იყო უკრაინის მიერ უარის თქმა მის ბირთვულ მემკვიდრეობაზე, რაც მათ გააკეთეს კიდევ 1994 წლის 10 იანვარს.

ნაშრომი ეხება უკრაინის ბირთვულ განიარაღებაზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რომელიც მიმდინარეობდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, და რომელმაც აქტუალურობა დაიბრუნა 2014 წელს, როდესაც რუსეთის ფედერაციამ დაარღვია მის მიერ აღებული ვალდებულებები უკრაინის მიმართ, რომელიც გულისხმობდა ამ ქვეყანაზე თავდაუსხმელობას და მოახდინა უკრაინის აღმოსავლეთით მდებარე ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია.

ნაშრომში განხილულია სხვადასხვა პოლიტიკური აქტორების განცხადებები და ქმედებები, რომლებიც იმ დროს მოღვაწეობდნენ და ჩართულნი იყვნენ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე განხილულია ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც შეუერთდა უკრაინის სახელმწიფო და გახდა არა-ბირთვული სტატუსის მქონე ქვეყანა. ეს შეთანხმებებია: NPT (Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons - ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულება), START (Strategic Arms Reduction Treaty - სტრატეგიული იარაღის შემცირების ხელშეკრულება).

უკრაინის ბირთვულ განიარაღებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზმა აჩვენა, რომ იმ დროს არსებობდა მრავალი პოლიტიკური აქტორი უკრაინაში, რომელთა აზრებიც განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და არამარტო პოლიტიკური აქტორები, არამედ უკრაინის სამხედრო წარმომადგენლები, რომელთა შორისაც არ იყო საერთო ჩამოყალიბებული აზრი, თუ რა უნდა მოეხერხებინათ ბირთვული შეიარაღებისთვის. განსაკუთრებული აქტორები კი იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთის ფედერაცია, რომლებიც როგორც ბირთვული ქვეყნები, განსაკუთრებული მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ უკრაინის სახელმწიფოზე და

მის ხელისუფლების წარმომადგენლებზე, სწორედ ამიტომ ნაშრომში თითო თავი დაეთმო ამ ორი ზესახელმწიფოს ფაქტორს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საბოლოოდ ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე უფრო ნათელი გახდა თუ რა მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის დროს ყველა პოლიტიკის აქტორის მონაწილეობას, მათ მიერ ალტერნატივების განხილვას, მითუმეტეს, როცა ეს გადაწყვეტილება ეხება მასობრივი განადგურების იარაღს. ასევე გამოიკვეთა ის მიზნები, რომლებიც ამოძრავებდათ როგორც მოქმედ აქტორებს და თვითონ უკრაინას, ასევე საერთაშორისო აქტორებს.

უკრაინაში დღესაც მიმდინარეობს დებატები იმის შესახებ, თუ რამდენად იყო შესაძლებელი უკრაინის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო მეტად ყოფილიყო დაცული უკრაინის ინტერესები, რამდენად იყო შესაძლებელი საერთაშორისო აქტორების მხრიდან უკრაინისათვის, უფრო ძლიერი მხარდაჭრის სამართლებრივი მექანიზმების შეთავაზება, რომელიც გამოიხატებოდა როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკური მხარდაჭერაში. საბოლოოდ უკრაინა დათანხმდა ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის და რუსეთის ფედერაციის მოთხოვნას უარი ეთქვა ბირთვულ შეიარაღებაზე კონკრეტული პირობებით, თუმცა 2014 წლის მოვლენების ფონზე უკრაინის საზოგადოებაში კვლავაც აქტუალურია მოსაზრება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ნაკლებად ეფუძნებოდა ყველა მოსალოდნელი საფრთხეების და რისკების რეალისტურ შეფასებას.

საკვანძო სიტყვები: NPT (Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons - ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულება), START (Strategic Arms Reduction Treaty - სტრატეგიული იარაღის შემცირების ხელშეკრულება).

Abstract

25 years ago, Ukraine held the world's third largest nuclear arsenal, which was inherited to it after the collapse of soviet union. During two years of intensive negotiations between the United States, the Russian Federation and the highest political echelons of Ukraine, it abandoned its nuclear power, which they did on January 10, 1994.

This work relates to the political decision-making process on nuclear disarmament in Ukraine, which has been going on for a long time and is gaining momentum in 2014, when the Russian Federation violated its obligations to Ukraine, which meant that Russia would never attack Ukraine and annexed the Crimea peninsula to the east of Ukraine.

The Paper reviews the statements and actions of various political actors involved in the political decision-making process, as well as international treaties that Ukraine joined to become a non-nuclear country. These agreements are: NPT (Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons), START (Treaty on the Reduction of Strategic Offensive Arms).

An analysis of the decision-making process on nuclear disarmament in Ukraine showed that at that time there were many political figures in Ukraine whose opinions differed from each other. And not only political figures, but also the military representatives of Ukraine, among whom there was no common idea about what to do with nuclear weapons. The main actors represented the United States of America and the Russian Federation, which unequivocally put pressure on the state of Ukraine.

The paper's analysis reviews political decision making process, especially when this decision concerns weapons of mass destruction, as well as targets defined by the actors and Ukraine itself. Although, Ukrainian decision, when it agreed with the requirement of the United States, EU and the Russian Federation for nuclear disarmament is still a big issue.

Key words: NPT (Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons), START (Strategic Arms Reduction Treaty)